# ნიანგი

7

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1425). აპრილი. 1974. ფასი 20 კაპიკი.




ნახ. მ. აბაშიძისა

— მაგას ინსპექტორივით ვერ მოისყიდი! გაზაფხულია და ყველაზე ობიექტურად შეგვამოწმებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა




— ამათ უნდა თქვან ჩვენზე, თმაგრძელი და ჭკუამოკლეო?!

ვ. კახელიშვილი

## ტრაგედია ჭალის კულტურის სახლში

**ტრაგედია „ნ გ რ ე ვ ი ს“ პრემიერას საჩხერის რაიონის სოფელ ჭალის კულტურის სახლში** დაესწრნენ: ჭალის, ღონის, დარყის, საკოხიას, სპეთის, ჯროისა და პერევის მშრომელები. ტრაგედიის ბოლო სურათში დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია: მთავარმა მოქმედმა პირმა ხელები მაღლა აღაპყრო და ძუძუს მონატრებულ ბოჩოლასავით შებღავლა:

— ძირს ყალბისმქნელები!

თითქოს ამ სიტყვებს ელოდაო, იქუხა სცენის სახურავმა და ისე აუსრულდეს წუევლა ყველა ყალბისმქნელს, როგორც ეს ჭალის კულტურის სახლის მშენებლებს აუსრულდათ: ათი წლის წინათ აშენებული კულტურის სახლი ხუხულასავით ჩამოიქცა თავზე მისი ყურებით ჯერ კიდევ გაუმაძღარ ჭალელებს.

იმ ღამეს დაწყებულ ტრაგედიას რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოეფარა შავი ფარდა. სოფლის მესვეურებმა დაავადმყოფებულ კულტურის სახლს კალატოზები და ხუროები კი არა, სალსალამათი ბულდოზერი მიაყენეს და ისე მიფშვნიტმოფშვნიტეს როგორც მზის გულზე საგულდაგულოდ გამხმარი თამბაქოს ფოთოლი..

მას შემდეგ თუმცა ორი წელი გავიდა. კულტურის სახლის მუშაკები მაინც არ იტეხენ იხტიბარს, ისინი ახლა ჭალის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში არიან შეხიზნული და, ტრაგედიის მაგივრად, კომედია „ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა ს“ თამაშობენ. კულტურის სახლის ამჟამად ხელისგულივით მოსწორებულ ადგილზე, როგორც ამბობენ, ორი ბიუსტი დაიდგმება: ერთი იმ მშენებლისა, რომელმაც კულტურის სახლი ააშენა და მეორე იმისა, რომელმაც დაზიანებულ კულტურის სახლს გამოუყვანა წირვა. აღნიშნული ბიუსტების დადგმის შემდეგ განიხილავენ სოფელ ჭალის მესვეურები კულტურის ახალი სახლის მშენებლობის საკითხსო.

იქნებ, მართლა!..



— ჩვენს სამსახურში ჭამისათვის ერთი საათია გამოყოფილი!
— ჩვენთან კი მთელი დღე ვჭამთ ერთმანეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯადოყრილი კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო...

**წელს** თბილისის ხილბოსტნეულის მაღაზიები მართლაც რომ სანატურმორტედაა გამზადებული. მომხმარებელი გულში ხელს იბრაგუნებს და ყურზე ხახვდაჭრილ ბაზრისკენ ნიშნისმოგებით იყურება. გაჯიუტებული სკეპტიკოსი, უფრო ჯიუტი ფაქტის წინაშე, ვერაფერს აწყობს და, შარშანდელთან შედარებით, თითქმის ორჯერ იაფად ყიდულობს კარტოფილს, კომბოსტოს, ხახვსა და ვაშლს. მხოლოდ კაკალი ჩხრიალებს ძველებურად, არადა, ოცკაპიკიანი ისპანახი პრინციპულად თორმეტმანეთიან საკაზმს თხოულობს.

**შეგონება პირველი: სარჩული სჯობს საპირესო, შენი საქმე მაკვირვებსო.**

**შეგონება მეორე: ზოგი ჭირი მარგებელია — იქნებ მოამრავლონ კაკლის ხეები საქართველოში.**

ხილბოსტნეულის მაღაზიაში კი დაჟინებით ისმის შემდეგი კითხვები:

— რატომ არ არის ისეთი ფერის კარტოფილი აქ, როგორც ბაზარში?

— რატომ არ არის ისე მშრალი და მაგარი ხახვი აქ, როგორც ბაზარში?

რატომ?..

კარტოფილმა, ხახვმა, კომბოსტომ და სხვა ბოსტნეულმა, ვიდრე ხილბოსტნეულის მაღაზიებში ბინას დაიგდებდნენ, საკმაოდ ვრცელი და ფათერაკებით აღსავსე გზა გაიარეს.

ნურვინ იტყვის, მშრალ ციფრებს ემოციების გამოწვევა არ შეუძლიაო. აბა, მოგვისმინეთ! თურმე, მოსავლის აღების დროს, იკარგება ჭირნახულის 10-15 პროცენტი, ტრანსპორტირების დროს — 10 პროცენტი, შენახვისას — 20 და რეალიზაციის პროცესში — 5-10 პროცენტი.

ყველა ეს კი ერთად თითქმის 50 პროცენტია!

იმისათვის, რომ ზამთარში არ მოაკლდეს თბილის-ქალაქს ხილი და ბოსტნეული, **სკრაში** უზარმაზარი კლდე გამოთხარეს და ყუთებით ხილი გადაინახეს, ხოლო **ლილოში** გიგანტური სამაცივრო მეურნეობა აშენდა, ძველი სამაცივრო



მეურნეობებიც გაივსო ჭირნახულით. და, აი, ამ ახალ ლილოს ბაზაში 2250 ტონა კომბოსტოდან თითქმის ნახევარი გაფუჭდა და გადაიყარა, რადგან, ჯერ ერთი: თავიდანვე დამზრალი კომბოსტო მოიტანეს; მეორეც: ცუდად შეინახეს, მესამე: ბოსტნეულთა შესანახი საკნები უხარისხოდ იყო გაკეთებული და მეოთხეც: მაშინდელი ხელმძღვანელი სპეციალისტი არ გახლდათ. აქვე გვინდა ვთქვათ ისიც, რომ სკრის ხილსაცავის დირექტორიც არ არის სპეციალისტი, და რადგან არცოდნა არცოდვაა, ამიტომ თუ რამე გაფუჭდა იქ, დირექტორს ნუ დააბრალებენ.

სამწუხაროდ, მარტო კომბოსტოს არ დაადგა ასეთი ცუდი დღე. ამა წლისათვის კარტოფილი, ყველა ბაზაში ერთად, 17.326 ტონა ჩალაგდა და... ორი ათას ოთხას ტონამდე ისევ ამოლაგდა და გადაიყარა. მოსალოდნელია, რომ ამოლაგდეს და გადაიყაროს კიდევ ამდენივე კარტოფილი.

ამ საქმეში თავისი „წვლილი“ მიუძღვის მომწოდებელსაც, შემნახველსაც და გამსაღებელსაც. თავი და თავი კი ის არის, რომ რაიონის ხელმძღვანელობა დაინტერესებულია რაოდენობრივი მაჩვენებლებით და ხარისხს კი ნაკლებად აქცევს ყურადღებას. იმასაც კი ამბობენ ავი ენები, რომ კარტოფილს, ამოღების წინ რწყავენ, რათა მიწა მიიკრას და წონაში მოიმატოს.

**შეგონება მესამე: ყველა გამოგონება სასარგებლოა, მხოლოდ გააჩნია ვისთვის!**

მართლაც და, რა უნდა მოეხერხებინა ბაზას, როდესაც **წალკის** რაიონიდან მიღებული შვიდას ტონამდე კარტოფილი თითქმის მთლიანად უვარგისი იყო. მიზეზი კი ის ყოფილა, რომ ყინვის დროს ამოუღიათ. ცოტა რომ მოეთმინათ და



მიწაში დაეტოვებინათ, კარტოფილი გადასაყრელი აღარ იქნებოდა. თითქოს საქართველოში გადასაყრელი გვაკლდაო, რუსეთიდან ჩამოტანილ კარტოფილში თავიდანვე ოცდაორი პროცენტი შემპალ-დამპალი ტუბერები ერია.

კარტოფილს არც ხახვი ჩამორჩა და ათას რვაასი ტონა ისე გაფუჭდა, რომ სათესლეთაც აღარ ივარგა. ისე, კი იმდენი ხახვი შეიძინეს ამ წლის სეზონისთვის (თოთხმეტი ათას ას სამი ტონა!), კიდევ ორი ამდენი რომ გადაიყაროს, მაინც თავზესაყრელი იქნება ხახვი შარშან ცოტა იყო, წელს კი აღარ საღდება.

**შეგონება მეოთხე: რძით შეშინებული, დოს უბერავდაო.**

ძნელი დასადგენია, ვინ დაიჭირა ასეთი „გულუხვი“ თადარიგი. ისმის კითხვა: მსგავსი პრობლემების გადაჭრა ხომ არ უნდა მოხდეს მეცნიერულ დონეზე? ან ერთმა ორგანიზაციამ ხომ არ უნდა იკისროს ამ საქმის პასუხისმგებლობა? იქნებ, მაშინ თესვა და მოთხოვნილება დუგმასავით მოერგოს ერთიმეორეს? იქნებ, ქინძი, ოხრახუში, ნიახური და სხვა მწვანილეული, რომელიც ზამთრის პერიოდში მაღაზიის იშვიათობას წარმოადგენენ, გამოულევლად იყოს დახლებზე? იქნებ, მოწესრიგდეს ასორტიმენტის თანაფარდობა და, რაც მთავარია, იქნებ ის დანაკარგები, რომელიც 50 პროცენტს შეადგენს, საგრძნობლად შემცირდეს, რომ მომხმარებელიც კმაყოფილი იყოს და მწარმოებელიც, რომ ხილბოსტნეულის მაღაზიებმა საბოლოოდ იზეიმონ ბაზართან გამარჯვება?

არის კიდევ ერთი საკითხი, რომლის უთქმელობა არ შეიძლება: დიდი ხანია თვალნათლივ ჩანს, თუ რა კარგი შედეგი გამოიღო საფირმო მაღაზიებმა.

აი, ერთი მაგალითი: კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის საფირმო მაღაზიაში ყოველთვის ხალხმრავლობაა, რადგან აქ ყველაფერი მაღალხარისხოვანია. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მეურნეობაა დაინტერესებული თავისი საქონლის რეალიზაციით და კიდევ იმიტომ, რომ აქ დანერგილია ვაჭრობის პროგრესული მეთოდი: მინდორი — მაღაზია. და კიდევ იმიტომ, რომ აქ ადგილობრივად ხდება ბოსტნეულისა და ხილის დახარისხება, კარტოფილის რეცხვა, კომბოსტოს გასუფთავება და სხვა. სამწუხაროდ, ცოტაა მსგავსი მაღაზიები. უფრო მეტიც: თბილკოოპვაჭრობის მაღაზიებში უხვად იყიდებოდა ფალსიფიცირებული ჩურჩხელები საკმაოდ სოლიდურ ფასად — ოთხ მანეთად და ორმოცდაათ კაპიკად, მაშინ, როდესაც შაქრის სიროფითა და მძაღე ნიგვზით გაკეთებული ჩურჩხელა გაცილებით იაფი ჯდება.

ჩვენ გვინდა მოვაგონოთ თბილკოოპვაჭრობის ხელმძღვანელებს, რომ ჩვენში ყოველგვარი ფალსიფიკაცია აკრძალულია, რომ მაღაზია სახელმწიფო დაწესებულებაა, რომ იქ შესული მომხმარებელი მოტყუებული არ უნდა დარჩეს!

ერთხელ კიდევ გადავხედოთ ამ წერილს და ვთქვათ **მეხუთე და უკანასკნელი შეგონება: შარშან დაგილპა ლილოხა, წელს რას აპირებ, შვილოხა?!**

ბარი მეტრეველი

სერგო ფაცაცია

# კაცს დავეძებ!..

კაცს დავეძებ!
მზერამ სივრცე,
სივრცემ მზერა გაცვითა!
კაცი უნდა კაცი იყოს,
იამაყო კაცითა!
კაცი შემხვდა...
გულმა ლამის
ლაჟვარდებში გაცურა!
რომ მეგონა, კაცი იყო,
თურმე იყო
კაცუნა!
კაცი შემხვდა...
ტაშით შემხვდა...
ვარდით,
განა ეკლითა?
თურმე ბარი,
უკან ბარი,
ზურგზე. ბარი ეკიდა!..
კაცს დავეძებ!
სხვა რა მინდა,
ლობეც არი ქაცვითა!
კაცი უნდა კაცი იყოს,
იამაყო კაცითა!
კაცი შემხვდა...
ლხინი მქონდა:
ილხინა და ილხინა!
გამიჭირდა...
ჭირი მქონდა:
თვალით ვერვინ იხილა!
კაცი შემხვდა...
ტაშით შემხვდა...
ვარდით,
განა ეკლითა?..
თურმე ბარი...
უკან ბარი...
ზურგზე ბარი ეკიდა!
ერთიც ხშირად
მილიმოდა,
როდი ჩანდა
უგვანად?
თურმე შავი
გული ცემდა
თეთრი კბილის უკანა!
მაშ, ყორანმა
ვით შეიძლოს
გატოლება
არწივთან?!
კაცი უნდა კაცი იყოს,
იამაყო კაცითა!
დავალ ავთა განარიდად...
რიდი მქონდეს
განა რის?..
კაცს დავეძებ...
ხან არის და...
ხან არ არის...
თან არის...
დამაქვს გული —
დიოგენის
ანთებული ფარანი!



ნახ. ზ. ლეჟავასი



— ვერ მიმასწავლი რესტორან „ქუდიგორას"?
— მიმასწავლი, მაგრამ იქ ოფიციანტად ყაჩაღი გლახია-შვილი მუშაობს!

ნახ. დ. ერისთავისა



— მამიკო, მეგობარს რომ უპირ-დეს, რომელ უნდა მოგვცეს?
— რაც უნდა გაჭირვებულებს უმეტეს-გრძელი, შვილო! ...

ავთანდილ ადეიშვილი

# ხ უ რ დ ა

— იყიდე ორასი გრამი კარაქი! არც ერთი გრამი ზედმეტი! ჩვეულებრივმა ტელევიზორმა ლამის თვალებში ფერი დამიკარგოს, ფული უნდა დავზოგოთ ფერადისათვის! — ამ მკაცრი მითითებებით ცოლმა გასტრონომში მიმავლინა. მე რობოტივით მივადექი რძის პროდუქტების სექციას:

— თუ შეიძლება, ორასი გრამი კარაქი! — ვთხოვე გამყიდველს. მან სოფი ლორენის ღიმილი მტყორცნა, სასწორზე კი ისროლა კარაქის ნაჭერი, რომელიც მრავალტირაჟიანი გაზეთის ქაღალდში შემიხვია.

მანეთიანი მივაწოდე.

— ხურდა! — განქიქდა სოფი ლორენის ორეული.

— არ მაქვს!

მან დაიწყო ჩემთვის ასანთის დათვლა.

— არავითარ შემთხვევაში! სახლში ნოეს კიდობნისხელა ყუთი სავსე მაქვს ასანთით!

— მაშინ, სხვა რამე იყიდეთ! — მირჩია გამყიდველმა.

— მომეცით 600 გრამი თბილისური ძეხვი!

— 28 კაპიკად? — გაუკვირდა გამყიდველს.

— არა, დავამატებ.

მან ამიწონა ძეხვი:

— თქვენ უნდა დამიმატოთ მანეთი და 67 კაპიკი, 15 კაპიკი მე თქვენთვის უნდა მომეცა, დავუმატებ და ჩემგან გერგებათ ხუთი კაპიკი. მე თქვენ მოგცემთ ხუთი კაპიკის ასანთს!

— არა, დამიბრუნეთ ხურდა! — ვიბღავლე მე.

— არ გვაქვს ხურდა, იყიდეთ რამე! — დამიყვავა გამყიდველმა.

— რაა? მომეცით ხურდა!.. — გამახსენდა ფერადი ტელევიზორი.

— არ არის ხურდა...

— მაშინ, მომეცით ერთი ყველი!

— 90 კაპიკი.

— ორი?

— მანეთი და 80 კაპიკი.

— ხუთი!

— ოთხი მანეთი და 50 კაპიკი.

— მაშინ, ათი!

— ცხრა მანეთი დამრგვალდა! — გამყიდველი სიამოვნებით დადნა.

თავი მათემატიკის ფუძემდებლად წარმოვიდგინე. ჩემს უკან რიგში გამყიდველი კოსმოსში აჰყავდათ:

— პატიოსნების ეტალონი!

მე ტრიუმფატორივით ვტოვებდი გასტრონომს. უცებ გაისმა ნაცნობი ხმა:

— შეცდი, ჩემგან გერგებათ ხურდა!

მე ამბურძგლა:

— იყოს, იყოს!

— რაო?! — მეძგერნენ საზოგადოებრივი საწყისების კონტროლიორები, ძალით მიმიყვანეს გამყიდველთან, მან ჩანთაში ჩამითვალა 15 ცალი ასანთი.

— მიშველეთ! — ვბღაოდი მე, მაგრამ ამაოდ: სოფი ლორენის დინამიური ღიმილით გამყიდველი, ხურდის მაგივრად მომხმარებლებს უბრუნებდა: ასანთებს, ლატარიის ბილეთებს, „პრიმას" და სხვა წვრილმანს.

კედელზე ნიავი ნაზად არხევდა გეგმების შესრულებისათვის მიღებულ გარდამავალ დროშას.

ნახ. მ. აბაშიძისა



— ვინ გითხრა, მესაათე მოიყვანეო?!
— შენ არ თქვი, ამას მესაათის მეტი ვერავინ ააწყობსო?!

**საფეხბურთო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით სპეციალური პრიზები დაუწესეს:**

- **გამყიდველებმა** — თავდამსხმელს — „მოტყუებისათვის".
- **კომბინატორებმა** — მწვრთნელს — „კარგი კომბინაციისათვის".
- **მექრთამეებმა** — მეკარეს — „უხვად აღებისათვის".
- **მილიციელებმა** — მცველს — „მარიფათიანად დაჭერისათვის".
- **ოფიციანტებმა** — ნახევარმცველს — „ანგარიშის გაზრდისათვის".

ვ. ჯავრიშვილი

ამირან მჭ...

სასადილოში მოლარემ,
თითქოსდა, არცა რა იყო,
ჩემი ჯიბიდან, ზედმეტი,
მხოლოდ აბაზი აიღო!

ხურდა ფულს დასდო პატივი
წყლის გამ... ...
ტელეფონ-ავტომატივით
ჩაყლაპა, არ დამიბრუნა!

ასი წლისთავზე საჩუქრად
ყანწი ვუყიდე პაპაჩემს,
ნოქარმა: „ხურდა არ მაქვსო,
ღმერთი მოგცემსო დანარჩენს!"

და კონდუქტორმაც ჩუმ-ჩუმად,
ვით მელაკუდამ, ნაცარამ,
ჩემი ქესატი ჯიბიდან
ხურდა რამ წაიცანცარა!

ტროლეიბუსში, საღამოს,
(გამიწყრეს მადლი მირონის!)
ჯიბეში ვერა ვპოვე რა,
ფერი დამედო ლიმონის!

თავზე კონტროლი დამეცა,
აბა, იმისთვის რა მეთქვა?!

მიმიხვდა: არა მქონდა რა,
შინაც გამიშვა „უშტრაფოდ",
წნევა ორასზე ავარდა,
ველარას მშველის „სასწრაფოც"!

მიშველოს, აწ სირცხვილისგან
სიხარულს მაინც არ ველი!..
ღმერთმა დასწყევლოს ყოველი
წამგლეჯი, გამომძალველი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰერბერტ ქემოკლიძე

## თანამედროვე ზღაპარი

ჩვენი თანამემამულე, ჰერბერტ ქემოკლიძე, დაიბადა 1939 წელს, ქ. ტუაფსეში. დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ცხოვრობს იაროსლავში და ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკია.

ჰერბერტ ქემოკლიძის იუმორისტული მოთხრობების პირველი კრებული გამოვიდა 1969 წელს, „კროკოდილის ბიბლიოთეკის" სერიით. 1972 წელს გამომცემლობა „მოლოდაია გვარდიამ" გამოსცა კეთილი, მსუბუქი იუმორით დამშვენებული მისი ლირიკული მოთხრობების წიგნი — „გაზაფხულის მოლოდინში".

ჰერბერტ ქემოკლიძე სატირული მოთხრობების საერთაშორისო კონკურსის — „ოქროს ახალგაზრდა ზღარბის" — პრემიის ლაურეატია.

იგი სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „კროკოდილში", „ლიტერატურნაია გაზეტაში" და სხვა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში.

ვაქვეყნებთ მის ერთ იუმორისტულ მოთხრობას.

იყო და არა იყო რა. იყო ერთი რიგითი მუშაკი. ყოველგვარი მადლი მიენიჭებინა მისთვის ბუნებას: შესახედაობას დაუწუნებდი თუ სიტყვა-პასუხს?! მხოლოდ „პატარა ნაკლი" ჰქონდა — არაფრის გაკეთება არ შეეძლო. საქმეს ხელს რომ მოჰკიდებდა, თავს ვერაფრით მოაბამდა.

ერთხელ, ამ მუშაკს, ეუბნებიან:

— მეზობელ დაწესებულებაში პრაქტიკაზე უნდა გაგაგზავნოთ, იქნება, ჭკუა ისწავლო და, შემდეგ, ჩვენც გამოგვადგე!

გააგზავნეს. გავიდა ერთი თვე. ორი თვე.. დაბრუნდა მუშაკი და იძახის: ამხელა პრაქტიკის მქონე კაცმა სირცხვილით თავი სად გამოვყო, თუ უფროს მუშაკად არ დამნიშნავთო. დანიშნეს. ერთი საქმე მიანდეს, არაფერი გამოვიდა. მეორე მიანდეს, ჩააფლავა. უთხრეს მაშინ:

— მოდი, მეზობელ ქალაქში, სასწავლებლად გაგაგზავნით! განათლებული კაცი, ალბათ, მეტ სარგებლობას მოგვიტანო.

გააგზავნეს. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი წელი გავიდა. დაბრუნდა უფროსი მუშაკი, დიპლომი წარმოადგინა და ამბობს: სამარცხვინოა, ამ დიპლომის პატრონი, სექტორის გამგე მაინც არ იყოსო.

დანიშნეს სექტორის გამგედ. მისცეს დავალება, ჩაფუშა. მისცეს მეორე, ჩააოხრა. მისცეს მესამე, სულმთლად ჩააოხრა.

უთხრეს მაშინ:

— მოდი, დასახელოვნებლად, მეზობელ ქვეყანაში გაგგზავნით, ვინ იცის, იქნება, დაბრუნების შემდეგ,ააწყო საქმეები!

გაემგზავრა სექტორის გამგე. ორ წელიწადში „დახელოვნდა" და განაცხადა: ამოდენა ცოდნის პატრონს, როგორც მინიმუმი, განყოფილების გამგეობა შეეფერებაო.

სხვა რა გზა იყო? გახადეს განყოფილების გამგედ. ის განყოფილება უწინაც დიდი არაფერი შვილი გახლდათ, მაგრამ, რაც ახალი გამგე დანიშნეს, თქვენს მტერს, იქ ამბები დატრიალდა!

გამოიძახეს განყოფილების გამგე და უთხრეს:

— მომწიფდა აზრი, რომ ცხრა მთას იქით გაგაგზავნოთ, რათა გამოცდილება გაგიზიარონ! იმედია, ამჯერად, შესანიშნავი ორგანიზატორი გახდები!

ნათქვამს მესრულება შვენის! ერთი წელიწადი დაჰყო ცხრა მთას იქით განყოფილების გამგემ და, როგორც კი დაბრუნდა, დაიყვირა: მალე, მალე მომეცით დაწესებულება, ჩემს გასაქანს რომ აკმაყოფილებდესო!

დააკმაყოფილეს და დაწესებულების დირექტორად დასვეს. სულ პატარა ხანში დაწესებულებამ მოწინავეთა რიგებიდან წყალწაღებულთა რიგებში გადაინაცვლა.

მაშინ უთხრეს დირექტორს: რას იზამ, მეზობელ დასახლებულ პლანეტაზე უნდა გაგიშვათ, იქნება, იქ გახდე კაციო.

ჩასვეს დირექტორი რაკეტაში და სხვა პლანეტაზე უკრეს თავი.

ერთი კი არა, ათი წელიწადი გავიდა, დირექტორის შესახებ კი არაფერი ისმის, თითქოს ცამ პირი უყოო. არა და, ბრძანება, რა ხანია, დაიწერა: გაერთიანების დირექტორადაა დანიშნული! რა გაეწყობოდა, კაცი აფრინეს, ამბავს მაინც ჩამოიტანსო. გაფრინდა კაცი. ბევრი იფრინა თუ ცოტა იფრინა, ღმერთმა იცის, მაგრამ მარტო კი დაბრუნდა...

— ჩვენი დირექტორი სად არის? — შეეკითხნენ, — ნუთუ, იქ დარჩენა ამჯობინა?

— არა, — უპასუხა კაცმა, — თვითონ არ ამჯობინა, მაგრამ აღარ უშვებენ.

— ასეთი შეუცვლელი და კარგი მუშაკი შეიქმნა? — გაიკვირვეს.

— არა, სულ სხვა მიზეზით, — უთხრა მან, — იმ პლანეტაზე ახალი კანონმდებლობა მიიღეს და, ყველაზე მძიმე დანაშაულად, ტყუილის თქმა ითვლება. როგორც კი ჩვენმა დირექტორმა თქვა, რა თანამდებობაც უკავია, იმწამსვე გაკოჭეს და ჯირის აბანოში შეაგდეს ცრუპენტელობისათვის: შენ აქ ვის აბითურებ? როგორ შეიძლება, შენისთანა ჩერჩეტს, ასეთი მაღალი პოსტი ეკავოსო!..

— რას იზამ, — თქვეს დამხვდურებმა, — ყველა პლანეტას თავისი წესები აქვს!

ზაალ გახუტიშვილი

## შეჭმული კრავის სიმართლე

კრავს გაკიდებულ ვეფხვს, თურმე,
ნახტომი დიდი მოსვლოდა
და, მუხის კუნძზე შეთხლეშილს,
სისხლი სდიოდა კოსროდან.

ამიტომ იჯდა სამსჯავრო,
კრავს დამნაშავედ იცნობდა.
ვინ შეწვას და ვინ მოხარშვას,
ვინ გამართლებას ითხოვდა.

მგელს სათავისო ფიქრი აქვს:
„გამართლდეს! იქნებ გაუშვან,
აქედან ველარ წამივა,
კბილს სადმე ტყეში გავუსვამ“.

დათვიც თავისთვის ფიქრობდა:
„თუ გამტყუნდება უგნური,
ვინც რას მოვასწრებთ, მას მოვგლეჯთ,
გაყოფა წავა ჯუნგლური“.

საგანაჩენოდ, სამსჯავროდ
აფთარს თან გაჰყვა მელია,
კრავიც გაიხმეს: „ჯუნგლებში
მარტო რომ დარჩეს, ძნელია!“

ცოტა ხნის შემდეგ მობრუნდნენ,
გადაეშალათ დავთარი,
კბილში ჩაჭედილ ბეწვს იწმენდს
და ასე ამბობს აფთარი:

„თუმცალა შემოგვესანსლა
თავისი ცოდვით გამხდარი,
მაგრამ, იცოდეთ, დამსწრენო,
რომ კრავი იყო მართალი!“

ასე დამთავრდა ამბავი,
ტყეს შეეპარა სინათლე
და საჯუნგლეთში გავრცელდა
შეჭმული კრავის სიმართლე.

ნახ. გ. ლომიძისა



„გამოსავალი“ საწვავის კრიზისიდან




ეროვნული ბიბლიოთეკა

**მე** ერთი ჩვეულებრივი იხვი ვარ. ვცხოვრობ მდინარის პირას. ცხოვრებას, მაინცდამაინც, არ ვემდური: ხან მძიერი ვარ, ხან მაძღარი. ვცდილობ, ყოველთვის კარგ ხასიათზე ვიყო და გულში დარდი არ შემეპაროს. დავყვები მდინარეს ცურვით აღმა-დაღმა, ვიჭერ თევზს და ვირჩენ თავს. რას იზამ, ბუნებას ასე გაუჩეხია: მე თევზზე ვნადირობ, ჩემზე ტურა, მელა, კატა და ადამიანი ნადირობენ. დავიჭერ თევზს, — ჩემია! დამიჭერენ, — მე მათი ვარ! თავდასხმისა და თავდაცვისათვის ბუნებას ჩემთვის ბრტყელი ნისკარტი, ნიჩაბივით ფეხები და მძლავრი ფრთები მოუცია; ტურისთვის, მელიისა და კატისათვის — მარდი ფეხები, ალესილი ბრჭყალები და ბასრი კბილები. ასეა ჩვენი არსებობის პირველი დღიდანვე. ვერც ჩემმა მოდგმამ გადააშენა თევზი და ვერც ტურამ, მელამ და კატამ გადააშენა ჩემი მოდგმა. მიდიოდა ძველი თაობა, მოდიოდა ახალი და იყო ასე მუდმივად. ახლა კი, ხალხნო, გულში დარდი შემეპარა: ვხედავ, რომ ფრინველთა მოდგმას გადაშენების საფრთხე ემუქრება. რატომაო? ალბათ გაკვირვებული იკითხავთ. ახლავე მოგახსენებთ, რატომაცა.

მე ზევითაც აღვნიშნე, ჩვენი ერთ-ერთი მტერი ადამიანია-მეთქი. არა, თქვენ სხვანაირად არ გამიგოთ! რა თქმა უნდა, ყველა ადამიანი არ არის ჩვენი მტერი. თუ კაცს შიმშილით კუჭი გეწვის და ახლომახლო იხვის მეტი საჭმელი არაფერი არის, კი ბატონო, მოიპოვე (არ ვიხმარ იმ საძაგელ სიტყვას მოკალი-მეთქი), შეწვი და შეგერგოს, მაგრამ როცა ერთი ან ორი იხვიც გეყოფა, შენ კი ორმოცდაათს გაანადგურებ, ეს მტრობაა, მაშ, რა არის? ახლა მტრობის ხერხებს არ იკითხავთ? თავიდან ადამიანის იარაღს ხელები წარმოადგენდა. ჩემმა წინაპრებმა ეს იცოდნენ და ადამიანს ხელის მისაწვდენ მანძილზე არ უშვებდნენ. მიეპარებოდა ადამიანი ცოტა ახლოს, იხვიც ნელა გაცურავდა უხიფათო ადგილისაკენ. გაუჭირდა ადამიანს იხვის მოპოვება. გაბრაზებულმა კარგა მოზრდილ რიყის ქვას დაავლო ხელი და ესროლა. ქვა იხვს თავში მოხვდა, ველარც გაცურა და ველარც გაფრინდა. დაიწყო ადამიანმა იხვის მოპოვება ქვის სროლით. ბოლოს და ბოლოს, იხვებიც მიხვდნენ ამას და ადამიანს ახლა ქვის სასროლ მანძილზეც აღარ უშვებდნენ. იფიქრა ადამიანმა, იფიქრა და მოიგონა მშვილდ-ისარი. იხვებიც მშვილდისრიანი ადამიანის დანახვაზე აფრენით შველოდნენ თავს. უჭირდა ადამიანს გაფრენილი იხვისთვის ისრის მორტყმა... და, აი, დადგა ჩვენთვის საბედისწერო საუკუნე: ადამიანმა გამოიგონა თოფი! გაჭირდა თავის გადარჩენა. ბოლოს და ბოლოს, შევეგუეთ ამასაც. გავიგეთ, რომ თოფი შეიძლება იყოს ცალლულიანი ან ორლულიანი. შეგვიძლია, ფრენის დროს გავარჩიოთ, ცალლულიანი თოფიდან გვესვრიან თუ ორლულიანიდან. ეს თავისებურად გვშველის თავდაცვაში, მაგრამ მე რომ გუშინ ამბავი შემემთხვა, აი, იმან გამიტეხა სწორედ გული:

მდინარის ნაპირს ფრენით მივყვებოდი და კარგ ადგილს ვეძებდი ჩასაჯდომად. იქვე, მდელოზე, რამდენიმე კაცს სუფრა გაეშალა და პურ-მარილს შეექცეოდნენ. ვიფიქრე, ხალხი დროს ატარებს, ქეიფობს, ჩემთან რა ხელი აქვთ-მეთქი. მაინცადამაინც ძალიან არ მოვერიდებივარ. ერთ-ერთმა შემნიშნა და იქვე მიწაზე დადებულ თოფს ხელი დაავლო. თოფს გადავხედე, ცალლულიანი იყო. ფრენის მიმართულება შევცვალე და ვიფიქრე, რაც იქნება, იქნება, ერთ ლულას როგორმე გავუძლებ-მეთქი. თოფი სხვას არავის ეჭირა. ეტყობა, მეტი არც ჰქონდათ. ამ დროს მეხივით გავარდა. მხრები შევაქანე. ვიგრძენი, რომ არ მომხვდა. რაღაც ხუმრობის გუნებაზე დავდექი. შემოვბრუნდი და ისევ მათკენ გამოვფრინდი. ადამიანს თოფი მხრიდან არ ჩამოუღია, მე მიმიზნებდა. გამეცინა: ამ ოჯახქორს ცალლულიანი თოფი უჭირავს, ერთხელ უკვე მესროლა და ახლა ცარიელა თოფს რაღას მიმიზნებს-მეთქი... და, ჰოი, საკვირველებავ! თოფი მეორედაც გავარდა. იმავე თოფიდან მესროლეს მესამედ, მეოთხედ და მეხუთედ. რაღაც ბედმა გადამარჩინა. გაოგნებული ერთ მყუდრო მორევში ჩავჯექი და მომხდარ შემთხვევას დავუფიქრდი. მივხვდი ადამიანს სანადირო იარაღი გაეუმჯობესებინა და უკვე ნახევრადავტომატური თოფიდან მესროდა...

აი, ხალხნო, რატომ შემეპარა გულში დარდი. როგორღა უნდა გადარჩეს ნადირ-ფრინველი თუ ყველა მონადირემ ხელში ავტომატური თოფი დაიჭირა? ან რა საჭირო იყო ასეთი სანადირო იარაღის გამოგონება? მაგრამ მე უარესს მოველი. მოვა დრო, ადამიანი სანადიროდ ივლის ყველგანმავლით. ყველგანმავალზე დამონტაჟებული იქნება მრავალლულიანი, საზენიტო ტყვიამფრქვევის მსგავსი სანადირო იარაღი რადიოლოკაციური სამიზნით. მერე რაღა გადაარჩენს ნადირ-ფრინველს? თუმცა, მანამდე გავძლებთ კი?

შვლის, გნოლის, კაკბის, ხოხბის და სხვათა სახელით **თქვენი იხვი.**

წერილი ჩამოვარდა **ილო მუნჯიშვილის** ეზოში

ვანო ცინცაძე

# ვისი შტატი შევამციროთ?

იყო ერთი დირექტორი — ერთმმართველი, თავნება,
უყოყმანოდ სრულდებოდა მისი ყველა ბრძანება...
ბრძანა ერთხელ: — ერთი შტატი საჭიროა შემცირდეს.
ოღონდ ისე გავაკეთოთ, არც დაგვცხეს, არც შეგვცივდეს!
უთხრეს: — მოდით, შევამციროთ ახალბედა ილია!
— არ გამოვა, ჩემი ცოლის ბიძის ქვისლის შვილია!
— მაშინ, პეტრე! მაგის საქმე მოხსნაზეა მისული...
— პურღვინყველტრესტის მმართველის არის
ღვიძლი დისწული!
— მიხო ადგილს რად იკავებს? კაცი მუქთი ჭამის, სმის?
— ანსამბლ ტაშფანდურდოლგარმონს
დირიჟორობს ძმა მისი!
— გიგა? მთლად რომ ჩააფლავა ინვენტარიზაცია?
— თბილცხელგრილკვებულაპჭამგემოს !
დირექტორის კაცია!
— მოდით, ვანო გავიმეტოთ, სულ კრიტიკას რომ გვიწერს!
— ლევპრავპუნქტის გამგის ძმაა, გაწითლება
მოგვიწევს!
— მაშინ, ქეთო მოვიშოროთ, ჭორიკანა ქალია!
— ხილბოსტნხორცთევზმაყუთ ბაზის გამგის
ტყუპის ცალია.
— დურმიშხანზე რაღას იტყვით, რომ ყოყოჩობს ძალიან?
— იცის, ჩვენთან რაც კეთდება, შარისათვის გვცალია?
— თედოს შტატი?
— ხელს ვერ ვახლებთ!
— რატომ?
— იცნობს არკადის!
— თანაც, მგონი, ბიძამისი
ზავატდელად გადადის!
— მოდით, ზაქრო მოვიშოროთ, ყველას რომ გვთვლის აჯამად!
— არ გაგიჟდეთ, რევიზორებს გახსოვთ, ჯოგორ აჭამა?
— შევამციროთ ნიკა, სანამ თავს მოგვჭრიდეს, ბატონო!
— არც ცოდნა აქვს, არც დიპლომი, ჩაგვყრის ეგ უპატრონო!
— მკვდარი სული რომ გვყავს ერთი, მოვიშოროთ ალექსი!
— არის კვაჭი, ჩამწყობი და გაჭირვების ტალკვესი!
— სიკო?
— პავლეს ძმისშვილია!
— ვასო?
— ინტრიგანია!
— პეტრე?
— ნგრევმშენკომის მთავბუხს
იცნობს დიდი ხანია...
დაადგინეს ბოლოს: შტატი შეუმცირონ კოლიას! —
მას არც ქვევით და არც ზევით არავინ არ ჰყოლია!..



ნახ. ნ. ქელეხსაშვილისა

ნახ. ა. ერაძისა



შოთა როყვა

## დეტექტური შეგრძნებანი

დამთავრდა წიგნი!
მკითხველს ეშველა!
შეწყდა ბრძოლანი სახიფათონი...
მავნე სულები დამარცხდა ყველა,
ვწუხვარ, ცოცხალი დარჩა ავტორი!


სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ), გ. ნიშნიანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. შველიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე. ⊙ სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი". ⊙ ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. ⊙ გადაეცა ასაწყობად 11/III-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/IV-74 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,4 ⊙ საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14 ⊙ შეკვ. 998. უე 01713. ტირაჟი 134.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

მთავარი რედაქტორი
ზურაბ გემაზაშვილი

ნახატი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ა. აფხაზავა, ტ. მარგველაშვილი, გ. მახვილაძე, მ. მჭედლიშვილი, კ. ზატიაშვილი, ნ. ქელეხსაშვილი, თ. ხიდაშელი.

ტელეფონები:
99-76-69
93-19-42
93-10-78
93-49-32.



275
74

7
1974.
74-275

ნახ. ზ. ლეჟავასი

Индекс 76137

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— სად იყავით მთელი წლის განმავლობაში, გეგმა რომ ვერ შეასრულეთ!
— თქვენთან არ ვიჯექით თათბირებზე?